დე, ბრწყინავდეს დროშად თვითეულისა!

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 248 (18490) პარასკევი, 29 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

დღეს თბილისში, სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემას მეძღვნება.



ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო თბილისში ჩამოვიდა

ლამაზად არის მორთული საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი.

დღესასწაული მოვიდა შრომითს კოლექტივებში, ყოველი თბილისელის სახლში. რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებაში ოცდაათ წლისთავის, 1941–1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გმარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელების მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისი ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

რესპუბლიკის დედაქალაქისათვის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად 28 ოქტომბერს აქ ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო.

სადღესასწაულო არის მორთული თბილისის აეროპორტი და მიმდებარე ზოგადნი. ერცელ ბაქანზე თავი მოუყრია ასობით თბილისელს. აქ არის სპარფწვეული საწარმოებისა და მშენებლობების მშრომელები, სტუდენტები, მოსწავლე ახალგაზრდობა. აეროვაგზლის შენობის ფასადზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტი. ფრიალებს სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დროშები. თვალსაჩინო ადგილზეა ფარი ლენინის ორდენის გამოსახულებით, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქის დროშას დამშვენებს.

წითელ ტრანსპარანტზეა სიტყვები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თბილისში — მეგობრობისა და ძმობის ქალაქში!“

თბილისელებს თაიგულები უკავიათ, ყღერის სადღესასწაულო მუსიკა.

თვითმფრინავი უახლოვდება აეროვაგზლის ბაქანს. შეერეგილნი ტაშით, მისალმების შეძახილებით ხვდებიან ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს.

თვითმფრინავის კიბესთან ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლ. ქართველიშვილი.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს დახვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, გ. ნ. ეხვაქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნაძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ი. ვადაჭკორია, ო. გ. ვეძიელაშვილი და ი. ი. ქედაშვილი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის ჯარების უფროსი, გენერალ-მაიორი ბ. ვ. სენტიურინი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო წევრი — პოლიტსამმართველის უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. შირინკინი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკური სამინისტროების ხელმძღვანელები, წარმოების მოწინავეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები.

დამხვდურთა შორის არიან თბილისის ზეიმზე ჩამოსულ დელეგაციათა მეთაურები: პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. ჰუსეინოვი, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ნ. ნერსესიანი, პარტიის სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მანიუხინი.

ბავშვებმა ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს თაიგულები მიართვეს.

ძველი ქართული ჩვეულებისამებრ სპასატო სტუმარს მიესალმნენ ტრესპუნლიკის პატივცემული ადამიანები, ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა სტუმარს მიართვეს ტრადიციული პურ-მარილი და ხილი — ქარცოული მიწის ნობათი.

აეროპორტიდან ქალაქისაკენ მთელ გზაზე სტუმარს გულთბილად მიესალმებოდნენ რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები. (საქინფორმი).

სურათზე: გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დათვალიერების დროს. ა. რუსაკოვისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო მნვია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანას

თბილისი დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ დიდი ხანია დაიკავა წამყვანი ადგილი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა შორის. საწარმოს მუშაკები, რომლებიც ემზადებიან საყოველთაო-სახალხო დღესასწაულისათვის — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისთვის, სულ უფრო დიდ საწარმოო წარმატებებს აღწევენ. აქ იზრდება შრომის ნაყოფიერება, მაქსიმალურად იყენებენ საწარმოო ფონდებს, სულ უფრო იზეიმა შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსების მომჭირნეობის უფლება.

28 ოქტომბერს დიმიტროვის სახელობის ქარხანას ესტუმრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო. მასთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ბ. ა. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნაძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს კომპარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ა. ჰუსეინოვი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო წევრი, პოლიტსამმართველოს უფროსი ა. ი. შირინკინი, პარტიის სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მ. მანიუხინი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

გულთბილად და გულითადად შეხვდნენ სტუმარს დიმიტროველები. მუშების შეკრებამ მას ყველაფერი მიართვეს.

საწარმოში ყოფნის სამახსოვრო საათი სტუმრების ხელოვნებაში ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ ხე დარგო.

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო იყო ქარხნის საამქროებში, გაეცნო საწარმოო პროცესს, ესაუბრა მუშებს, გამოეკითხა მათი ცხოვრების, შრომის, ყოფის პირობები, გაიმართა საუბარი, რომლის დროსაც ქარხნის დირექტორმა ვ. შ. თორდიამ, პარტიული კომიტეტის მდივანმა ვ. ი. ლომაძემ ალაპარაკეს საწარმოს მრავალფეროვანი კოლექტივის წარმატებებზე, მეთერთმეტე ხუთწლედში მისი განვითარების პერსპექტივებზე.

ქარხნის მოწინავე ხარატები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ვ. როსტიაშვილმა საპატიო სტუმარს გადაეცა დიმიტროველთა სამახსოვრო საჩუქარი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სახელით ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო გულითადად მიესალმა დიმიტროველებს და მათი სახით საბჭოთა საქართველოს მთელ მუშაობას, უსურვა მათ ყოველივე საუკეთესო შრომასა და პირად ცხოვრებაში, მიუღოცა ქალაქ თბილისის საშობლოს უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით დაჯილდოება, დიდი ოქტომბრისა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის მომავალი დღესასწაულები.

ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ მაღალი შეფასება მისცა ქარხნის კოლექტივის მუშაობას, მის წარმატებებს სახელმწიფო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებაში, უსურვა ახალი შრომითი მიღწევები.

თბილისელმა ავიამშენებლებმა პირობა დადეს, რომ მაღალი ჯილდოს — ლენინის ორდენის პასუხად, რომელიც რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს მიეცა, ქარხნის კოლექტივი ამრავლებს თავის მიღწევებს, ყოველ ღონეს იხმარს, რათა წარმატებით შესრულის მიმდინარე წლისა და მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებანი. (საქინფორმი).

სურათზე: გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის დათვალიერების დროს. ა. რუსაკოვისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს მეჩაიეები: არის რეკორდული მოსავალი!

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

კიდევ ერთი დიდებულ ნაბიჯი გადადგეს მოიკოფეს ქართველმა მეჩაიეებმა. როგორც არაერთგზის აღნიშნა, კლასტატისტიკის მუშაობელებმა ამ ინდიდ რთული პერიოდების მიუხედავად, არც ასლა დაბვალეს. მათ შორეთ გაზალის სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელად, და თბილისისათვის საპატიოს ლის მაღალი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემის წინ დიდი ოქტომბრის 65 წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წინ გადაბარებული შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — მოკრიფეს და გადასაბუნებლად ჩაბარეს 587.886 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს 57.886 ტონით აღემატება გეგმას და 9.886 ტონით — სოციალისტური ვალდებულებიით გათვალისწინებულს. პირველ ხარისხად არის დამზადებული ნედლეულის 70 პროცენტზე მეტი. (საქინფორმი).

ამოსკოვში ჩამოვიდა

28 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მეფეცვეთი მოსკოვში სამუშაო ვიზიტად ჩამოვიდა კეიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტი ს. კიპრიანუ.

აეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ეკონომიკური ზიდიერების თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის ეკონომიკური მინისტრი პ. ნ. დემიჩევი, სხვა ოფიციალური პირნი. (საკინფორმი).

სურათზე: თბილისის აეროპორტში შეხვედრის დროს. ე. შევარდნაძის და გ. კიკვაძის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საოქტომბრო ვაჩუქეთ დედაქალაქი

□ **თბილისი** ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, ტრადიციისამებრ ახალ-ახალ შრომის წარმატებებს აღწევს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ რკინიგზელებმა სასაკონლო პროდუქციის გამოშვების 9 თვის სოციალისტური ვალდებულება 6 თვეში შეასრულეს. მათი გადაწყვეტილებაა ვალდებულების გადამეტებით კიდევ დაამზადონ 150 ათასი მანეთის ნაწარმი.

□ **თბილისობის** და საოქტომბრო სადღესასწაულო სუფრის თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მიერ გამოშვებული პროდუქციიც დაამშვენებს. ამკამად საწარმოს კოლექტივი საოქტომბრო შრომითს ვახტზე დგას და გადაჭარბებით ასრულებს სასაკონლო პროდუქციის დამზადების 10 თვის დავალებას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 30 მილიონ 859 ათასს ნაცვლად, გამოუშვებენ 31 მილიონ 874 ათასი მანეთის პროდუქციას, და გაასაღებენ 28 მილიონ მანეთის პროდუქციას, ნაცვლად 27 მილიონ 449 მანეთისა.

□ **დიდი** ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 65 წლისთავს, თბილისობის დღესასწაულს შრომითი ნობათები ეგებება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი.

კომბინატმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით წარმატებით შეასრულა 9 თვის გეგმა-ვალებულებები.

კომბინატის მშრომელების გადაწყვეტილებაა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულონ.

□ **ოქტომბრის** რაიონის საწარმოთა შორის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში მეწინავეობას არავის უთმობს სსრ კავშირის გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის სარემონტო-მექანიკური ქარხანა (დირექტორი — თამარ კოლოტაური). კოლექტივი 9 თვის მაჩვენებლებით რაიონში პირველ ადგილზე გამოვიდა, ხოლო ნახევარი წლის შედეგების მიხედვით დარაზი საკავშირო მასშტაბით მესამე იყო.

□ **თბილისის** აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა მიმდინარე საიუბილეო წელს დამკვრელურად იმრომა.

ამ დღეებში სამინისტროს კოლეგიამ სოციალისტურ შეჯიბრებაში მიღწეული წარმატებებისათვის გაერთიანების კოლექტივს უკვე მეხუთედ მიანიჭა პირველი ადგილი.

□ **საოქტომბრო** დღესასწაულის წინ მოწინავეთა შორის არის პატარა სახელობის ელექტროშესაფუღებელ მოწყობილობათა ქარხანა. აქ მიმდინარე წლის ათი თვის გეგმა 27 ოქტომბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს, 15 მილიონ 130 ათასი მანეთის ნაცვლად გამოუშვეს 15 მილიონ 500 ათასი მანეთის პროდუქცია. გადაწყვეტილი აქვთ, თვის ბოლომდე კიდევ 20 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვან.

□ **თბილისის** საინსტრუმენტო ქარხანა ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა ჩვენს დედაქალაქში. მისი კოლექტივი ყოველთვის აღმავლობით ხასიათებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებათა შესასრულებლად, თუ შარშან ამ დროისათვის გამოშვებულ ი ყო 400 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია, წლეულს 10 თვეში კი ამ მაჩვენებლებს საგრძნობლად გადაჭარბეს. გამოშვებული პროდუქციის თითქმის ნახევარი ხარისხისნიშნიანია.

□ **თბილისის** ცხინვალმბინანტის მშრომელები ახალი წარმატებებით ხელდამშვენებულნი ეგებებიან ოქტომბრის დღესასწაულს. საწარმომ მეთერთმეტე ხუთწლედის მეორე წლის ათი თვის გეგმა-ვალებულებანი წარმატებით შეასრულა: წარმოებულია 58,3 მილიონი მანეთის მილიონი პროდუქცია. ამასთანავე, რეალიზებულია 58,0 მილიონი მანეთის მზა ნაწარმი.

□ **ზოზეთი** კოლონეებში 7 ნოემბერს მოწინავეთა შორის თავის ადგილს თბილისის სარკის და მექანიკურ ნაკეთობათა კომბინატის კოლექტივიც დიკავებს. წლევანდელი 10 თვის ხელმწიფო გეგმა გადამდე შესრულდა. დაავლების გადამეტებით 150 ათასი მანეთის პროდუქცია დამზადდა, ხოლო საპატიო ხუთკუთხედით აღნიშნულმა ნაკეთობამ წარმოების სეერთო მოცულობაში 47 პროცენტს მიაღწია.

(„კომუნისტის“ კორ.).

საქართველოს მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

ულოცავენ გამარჯვებულებს

● მთელი გულითა და სულით

შრომითი გამარჯვება, რომელიც მოიპოვეს საქართველოს მეჩაიეებმა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, რუსთაველ მეტალურგებსაც გვახარებს.

ჩვენ, ცეცხლოვანი პროფესიის ადამიანებს, კარგად გვაქვს წარმოდგენილი, რამდენი შრომა და ენერგია დასჭირდათ პლანტაციათა მშრომელებს, რათა შეესრულებინათ სიტყვა და სამშობლოსათვის მიეცათ ასეთი დიდი რაოდენობის ნედლეული — 537 000 ტონა ჩაი.

ჩაი ჩინებული სასმელია. როცა ჩვენ, ცეცხლისმფრქვეველ ღუმლებთან და აგრეგატებთან ვახტზე დგომისას დაღლას ვიგრძნობთ ხოლმე, საკმარისია დავლიოთ ფინჯანი მწვანე ჩაი და დაღლილობა მაშინვე გვიქრება. ამიტომ ჩვენი ქარხნის საამქროებში სამუშაო ადგილებზე ხშირად გვაძლევენ ჩაის.

თქვენი წარმატება, ძვირფასო მეჩაიეებო, შთაგვაგონებს ჩვენ, მეტალურგებს, ახალი შრომითი წარმატებებისათვის. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი ყოველ ღონეს იხმარს, რათა ღირსეულად შეხვდეს საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ო. ლომიძე,
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი.

● საქმით განმტკიცებული სიტყვა

საქმის ღრმა ცოდნა და მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნეს საქართველოს მეჩაიეებმა, რომლებმაც შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. როგორც დასახული იყო, ჩააბარეს კიდეც სახელმწიფოს რეკორდული ოდენობის ჩაი.

გამარჯვებას მიაღწიეს ცუდი ამინდის პირობებში. ახლა მე, როგორც სპეციალისტს — აგრომეტეოროლოგს, განსაკუთრებით მახარებს, რომ პლანტაციათა მშრომელების სიტყვა და საქმე ერთია.

მეჩაიეებმა აპრილში გამართულ თათბირზე დასახეს კონკრეტული ღონისძიებები პლანტაციების მოვლისა და ჩაის ფოთლის კრეფისათვის.

განიზრახეს კარგი ამინდის პირობებში თოთხმეტ-თვრამეტჯერ მოეკრიფათ ხარისხოვანი ჩაის ყლორტები ერთსა და იმავე პლანტაციაში. მეჩაიეებმა მაქსიმალურად გამოიყენეს ყოველი დარიანი დღე. მეცნიერთა რეკომენდაციების განხორციელების შედეგად მათ ღირსეულად შეასრულეს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ვულოცავთ მეჩაიეებს ამ ძნელ და საპატიო გამარჯვებას.

გ. მელაძე,
ამიერკავკასიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიის ლაბორატორიის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი.



საქართველოს მეჩაიეებმა, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებებს ახორციელებენ, რთული ამინდის პირობებში დიდი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს და მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ჩაის მიყიდვის 1982 წლის გეგმა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბრის კოლმეურნეობაში დიდ პატივს სცემენ მექანიზატორ ჯემალ ქარცივაძეს. იგი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავის ალსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებას და მანქანა „საქართველოთი" 110 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფა წლიური გეგმით გათვალისწინებული 95 ტონის ნაცვლად.

ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის გეგმისა და ვალდებულებების შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალგაზრდობამ. კოლმეურნეობის მეჩაიეებმა წელს სახელმწიფოს 1.155 ტონა ნედლეული მიჰყიდეს გეგმით გათვალისწინებული 1.100 ტონის ნაცვლად. მთელი მოსავლის თითქმის ნახევარი ახალგაზრდების წილად მოდის.

სურათებზე (ზემოთ): კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი ამირან ხეფარიძე აჯამებს პირველი ბრიგადის მეჩაიეთა შეჯიბრების შედეგებს; ჩაისუბნის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე მაგული დიასამიძე (შუაში); ალამბრის კოლმეურნეობის მექანიზატორი ჯემალ ქარცივაძე (ქვემოთ).

ნ. ანასტასიევის ფოტო.

წლევანდელი სეზონი ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას თაოსნობით ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების სეზონად გამოცხადდა. წელს ბევრი გაკეთდა ამ მხრივ. ამასთან ვალდებულებაც შესრულდა. ახლა მთავარია როგორ წარიმართება მომავალში ჩაის წარმოების საქმე. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" უფროსს ე. მალაზონიას რამდენიმე კითხვით მიმართა გაზეთ „კომუნისტის" სპეციალურმა კორესპონდენტმა. მკითხველს ვთავაზობთ ამ დიალოგის ჩანაწერს.

ხარისხისათვის ბრძოლა გრძელდება

კითხვა. გთხოვთ ჩვენს მკითხველებს მოუთხროთ რა მიზანს ვისახავთ სამერმისოდ და 1985-1990 წლისათვის მეჩაიეობაში.

— ჩაის მრეწველობის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე დარგის განვითარების მიზანი ყოველთვის იყო და არის ის, რომ ქვეყანას მივცეთ რაც შეიძლება მეტი და მაღალხარისხოვანი ქართული ჩაი, რათა უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილებანი ამ ძვირფას პროდუქტზე.

უკვე შესრულდა ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის ვალდებულებაც. მოიკრიფა და გადამუშავდა რეკორდული მოსავალი — 537 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი, რაც სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მუშაკთა მორიგი დიდი გამარჯვებაა.

1985 წელს უნდა ვაწარმოოთ 83.000 ტონა დაფასოებული ნატურალური ჩაი, 149.200 ტონა პირველადი გადამუშავების შავი და მწვანე ბაიხის ჩაი. ათვისებული იქნება და წარმოებაში დაინერგება ახალი სახის პროდუქცია — ჩაის მშრალი კონცენტრატები (1.400 ტონა), მნიშვნელოვნად მოიმატებს ჩაის თხევადი კონცენტრატის და მატონიზებელი სასმელის „ბახმაროს" წარმოება. მწვანე აგურა ჩაის ნახევარფაბრიკატის და საექსპორტო სავაჭრო გარევის პროდუქტებთან ერთად, მთლიანად ვაწარმოებთ მილიარდ 321 მილიონი მანეთის პროდუქციას. ამით წარმოების ზრდის ტემპი 1980 წელთან შედარებით 134,7 პროცენტს მიაღწევს, ხუთწლიანი გეგმა კი 117,3 პროცენტს ითვალისწინებდა.

1990 წლისათვის გათვალისწინებულია საერთო (სასაქონლო) პროდუქციის წარმოება ავიყვანოთ მილიარდ 500 მილიონ მანეთამდე.

კითხვა: როგორ შესრულდა წლევანდელი ვალდებულება და რა სიძნელეები ახლავს მას? დაგვისახელეთ მოწინავეები.

— შეიძლება ითქვას, რომ წლევანდელი წელი განსაკუთრებული იყო მეჩაიეებისათვის. ეს ერთის მხრივ ქართული ჩაის ხარისხის გაუმჯობესებისათვის გაშლილი ბრძოლის სიმწვავით, ხოლო მეორე მხრივ ამინდის წარმოუდგენელი ჭირვეულობით.

მართალია, ჩაის ფოთლის მასობრივი კრეფა შედარებით გვიან, 16 მაისიდან დაიწყო მაგრამ ისეთი ტემპით წარიმართა, რომ მაისის თვეში დამზადდა 75,3 ათასი ტონა ნედლეული, 32 ათასი ტონით მეტი, ვიდრე 1981 წლის შესაბამის პერიოდში. ამასთან ერთად საგრძნობლად უკეთესი იყო ჩაის ფოთლის ხარისხი. შეუფერხებლად მუშაობდა ტექნოლოგიური მანქანა-დანადგარები. 26-31 მაისს ყოველდღიურად ფაბრიკებს ბარდებოდა გადასამუშავებლად 6-6,6 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი. პროდუქციაც მაღალხარისხოვანი იყო.

ივნისში უამინდობამ დიდი სიძნელეების წინაშე დააყენა ქართველი მეჩაიეები, მკვეთრად დაეცა ჩაის ფოთლის კრეფის ტემპი, რამაც თავის მხრივ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ჩაის ფაბრიკებში აწყობილი რიტმი დაარღვია, გააუხეშა ჩაის ფოთოლი, დააქვეითა ნედლეულის ხარისხი.

ამინდის ჭირვეულობას ქართველმა მეჩაიეებმა და ჩაის მრეწველობის მუშაკებმა თავდადებული შრომა და შემართება დაუპირისპირეს. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ზონალური თათბირები მოიწვიეს. ამის შემდეგ დაიწყო მოძრაობა — ჩაის ფოთოლი ვკრიფოთ ყოველგვარ ამინდში! თავდადებულმა შრომამ ნაყოფი გამოიღო.

წელს ვალდებულებების შესრულებისათვის ჩაის მრეწველობის შრომითმა კოლექტივებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სახელოვანი იუბილეს — სსრკ შექმნის 60 წლისთავის შესახვედრად. ჩაის მრეწველობის მუშაკებმა წელს ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით გამოუშვან 10 მილიონი მანეთის პროდუქცია, 1.200 ტონა პირველადი ბაიხის ჩაი და 1.000 ტონა დაფასოებული ჩაი, დაზოგონ 1975 ტონა პირობითი საწვავი, 820 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. ეს ძირითადად უკვე შესრულებულია.

ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს — ქობულეთის, მახარაძის, ლანჩხუთის, წყალტუბოს, ხელვაჩაურის საწარმოო გაერთიანებებმა, გუდაუთის ჩაის ფაბრიკამ, ბათუმის ჩაის საწონმა ფაბრიკამ. მათ საკავშირო და რესპუბლიკურ შეჯიბრებაში პირველი ადგილები დაიკავეს.

მოწინავეთა შორის არიან: ბობოყვათის ჩაის ფაბრიკის მეკუპაჟე ფატიმა მახარაძე, ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი ნუნუ ფირცხალაიშვილი, მახარაძის მეორე ფაბრიკის დამხარისხებელი ლამარა სვანიძე, ბათუმის ჩაის საწონი ფაბრიკის მემანქანე დავით ირემაძე და სხვები.

კითხვა: წლეულს ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა თამარ ყუფუნიამ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინა, მან მეჩაიეებსა და ჩაის მრეწველობის მუშაკებს გაზეთ „კომუნისტის" ფურცლებზე დაბეჭდილი წერილით მოუწოდა: „ალვუდგინოთ ქართულ ჩაის ძველი დიდება". როგორია თქვენი შეხედულება ამის შესახებ, რა სიკეთე მოგვიტანა ამ თაოსნობამ და მომავალში რა უნდა გაკეთდეს, რომ უფრო გაუმჯობესდეს ქართული ჩაის ხარისხი ისე, რომ რაოდენობა არ შემცირდეს?

— ჩაის ხარისხის გაუმჯობესება ქართველი მეჩაიეებისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანი, მაგრამ ძნელად გადასაწყვეტი საკითხი იყო. მას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის ნოემბრის პლენუმზე. ხოლო საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს, ყოველ მეჩაიეს პირველი რიგის ამოცანად XI ხუთწლედში ჩაის ხარისხის გაუმჯობესება დაუსახა. დიდად დასაფასებელია ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას შესანიშნავი და დროული თაოსნობა, რომ დაუბრუნდეს ქართულ ჩაის ძველი დიდება, გაუმჯობესდეს ნედლეულის ხარისხი.

კითხვა: ჩაის ხარისხის გასაუმჯობესებლად მომავალში კიდევ რას ფიქრობენ მრეწველობის მუშაკები? რა სიახლეებია მოსალოდნელი ნედლეულის გადამუშავებასა და პროდუქციის გამოშვების საქმეში?

— ძნელად მოიძებნოს მეორე ისეთი სახის პროდუქტი, როგორიცაა ჩაი, რომლის ძირითადი დამახასიათებელი თვისებების ჩამოყალიბება ნედლეულის ფიზიკო-ქიმიური თვისებების საფუძველზე, უმთავრესად გადამუშავების პირველსავე ფაზაში ხდებოდეს.

აქედან გამომდინარე, მრეწველობის მუშაკები ყოველ ღონისძიებას ვხმარობთ, რომ უკეთ დავარეგულიროთ ნედლეულის დამზადების საკითხები, პირველ სტადიაში მთლიანად თუ არ მივიღებთ სტანდარტულ ნედლეულს, შემდეგში მაინც უნდა მოხდეს მისი პარამეტრების სტაბილიზირება, გაიზარდოს მასში ნაზი ფრაქციების შემცველობა.

ამ თვალსაზრისით წელს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ წყალტუბოს ზონაში გამართული ექსპერიმენტის შედეგებს და მის შემდგომ სრულყოფას, რომლის მიზანია ნედლეულის საერთო მოცულობაში ნაზი ფრაქციის ხვედრითი წონის გადიდება და აქედან გამომდინარე ნედლეულის საერთო მოცულობაში ნაზი ფრაქციის შემცველობის მიხედვით მისი ღირებულების დიფერენციალურად ანაზღაურება. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობის შედეგების ანალიზი და ამის საფუძველზე ნათელი გახდება მუშაობის გაგრძელების რაციონალური გზები. წინასწარი მონაცემებით აუცილებელია დაზუსტდეს ნაზი და უხეში ფრაქციების ოპტიმალური შეფარდება. მუშაობა მიმდინარეობს წყალტუბოს ზონაში ექსპერიმენტის გზით გამომუშავებული ნახევარფაბრიკატიდან სამარკო ჩაის გამოშვებისათვის (მომატებული ფასით), რაც განპირობებული იქნება პროდუქციის მაღალი ხარისხით და ამ გზით შესაძლებელი გახდება პროდუქციის თვითღირებულებისა და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ოპტიმალურად დარეგულირება.

პროდუქციის გამოშვების მხრივ სიახლე ის არის, რომ მიმდინარე წელს სამტრედიის ჩაის კომბინატში გამოვუშვებთ ჩაის მშრალი ნატურალური კონცენტრატის სამრეწველო პარტიას. ლანჩხუთში გამოვუშვებთ უშაქრო ჩაის თხევად ნატურალურ კონცენტრატს. თბილისის ჩაის საწონი ფაბრიკა გამოუშვებს არომატიზებული ჩაის საცდელ პარტიას ლიმონის ზეთითა და პიტნის ქასმინით.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარეობს და ხუთწლედის ბოლოს დამთავრდება ჩაის მეორადი გადამუშავების ფაბრიკების ტექნიკური აღჭურვა ინგლისური ფირმის „როუზ-ფორგროუვის" მაღალი წარმადობის ავტომატური ხაზების გამოყენებით.

კითხვა: როგორია თქვენი შეხედულება მიკროფაბრიკების შესახებ?

— ჩვენი შეხედულება მიკროფაბრიკების შესახებ დადებითია და ეს იმის გამოა, რომ მიკროფაბრიკები არის რა ჩაის ფოთლის პირველადი გადამუშავების სიმძლავრის სწრაფად გაზრდის საშუალება, შესაძლებლობას გვაძლევს უფრო მოკლე დროში მივაღწიოთ ჩაის ფოთლის დამზადებასა და მისი გადამუშავების სიმძლავრეებს შორის დისპროპორციის აღმოფხვრას.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მიკროფაბრიკა ჩაის პლანტაციასთან სიახლოვის გამო დადებითად წყვეტს ნედლეულის ტრანსპორტირების და დანაკარგების შემცირების, პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მუშა-ხელით დაკომპლექტების საკითხებს. საგულისხმოა ისიც, რომ მიკროფაბრიკა შენდება სხვადასხვა უწყებების შეერთებული ძალებით, კოოპერირებისა და პარტნიორობის საფუძველზე.

კითხვა: მსოფლიო მეჩაიეობაში რა სიახლეებია ამჟამად და გადმოვიღებთ თუ არა მათ ჩვენში?

— მსოფლიოს ჩაის მწარმოებელ კლასიკურ ქვეყნებში ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება და ძველი ამორტიზირებული პლანტაციების შეცვლა მიმდინარეობს მხოლოდ მაღალპროდუქტიული ჯიშებით და კლონებით, რის კვალობაზეც აღწევენ, როგორც მოსავლიანობის რაოდენობის გაზრდას, ასევე ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებას.

მრეწველობის ხაზით, მსოფლიოში შავი ჩაის წარმოებაში ძირითადი ტენდენციაა ჩაის ფოთლის უჯრედების მაქსიმალურად დაშლა, პროცესების ინტენსიფიკაცია, რათა მიღწეულ იქნეს ფოთოლში არსებულ ნივთიერებათა მაქსიმალურად გამოყენება, ამის ბაზაზე შავი წვრილი ჩაის გამომუშავება, სათანადო ტექნოლოგიის გადამუშავებით და ტექნიკის სიახლეებით.

სწრაფი ტემპით ვითარდება ჩაის ნატურალური კონცენტრაციის წარმოება, როგორც ჩაის მწარმოებელ, ისე სხვა ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში ფართოდაა განვითარებული ხსნადი ჩაის წარმოება, ე. წ. „ყინულოვანი ჩაის" და სხვა პროდუქტების გამოშვება: ფართოდ იყენებენ ჩაის პროდუქციის არომატიზაციას, სხვადასხვა ბუნებრივი არომატიზატორებით. ეს ტენდენციები ჩვენთანაც ვითარდება.

კითხვა: როგორ გესახებათ მომავალში კომპლექსი — პლანტაცია — ფაბრიკა — მომხმარებელი?

— დიდი ჩაისათვის ბრძოლაში 1978 წელს მახარაძის რაიონში დაიბადა შრომითი მეტოქეობის სრულიად ახალი ფორმა, კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება „პლანტაცია—ტრანსპორტი — ჩაის ფაბრიკა", რომელიც მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა.

კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრების მიზანი ის არის, რომ ჩაის მოსავლიანობის გადიდების და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში სხვადასხვა დარგის მუშაკთა შრომითი მეტოქეობა მეგობრობის განმტკიცების საფუძველზე მიმდინარეობს. ეს კარგ შედეგს გვაძლევს.

1979 წელს კომპლექსური სოციალისტური შეჯიბრება „პლანტაცია — ტრანსპორტი — ჩაის ფაბრიკა" დაინერგა ქობულეთის, ზუგდიდის, ლანჩხუთის და ცხაკაიას საწარმოო გაერთიანებებში, ხოლო 1980 წლიდან ყველა საწარმოო გაერთიანებას მიეცა რეკომენდაცია — დანერგოს ეს მეთოდი. ასე რომ ქართული ჩაის მომავალი დიდია. მას ყველა რუდუნებით უნდა მოვეკიდოთ.

საუბარი მიჰყავდა
ვ. გოზალიშვილმა.

ვინ რა წვლილი შეიტანა

სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის" 28 ოქტომბრის ცნობა (ტონობით)

რაიონები	მოკრეფილია სეზონის დაწყებიდან				
		სოხუმის	717	თერჯოლის	1.409
		გუდაუთის	8.317	ჭიათურის ქ.	1.384
		აფხაზეთის ასსრ	97.916	ცხაკაიას	12.904
		მახარაძის	101.921	აბაშის	1.028
ხელვაჩაურის	21.743	ჩოხატაურის	13.535	ხობის	11.145
ქედის	1.332	ლანჩხუთის	28.083	გეგეჭკორის	26.311
ქობულეთის	46.970	წულუკიძის	10.054	ზუგდიდის	72.331
აჭარის ასსრ	70.045	სამტრედიის	3.411	წალენჯიხის	33.809
გალის	46.805	ვანის	1.036	ჩხოროწყუს	25.839
ოჩამჩირის	39.240	წყალტუბოს ქ.	12.006	სულ საქართველოს	
გულრიფშის	2.837	ტყიბულის ქ.	13.219	სსრ	537886

ულოცავენ გამარჯვებულებს

● გვახარებს მეგობრების გამარჯვება

მეჩაიეები, ყველა აზერბაიჯანელი მიწათმოქმედი მთელი გულითა და სულით ულოცავენ თავიანთ თანამოსაქმეებსა და მეგობრებს — სოციალისტური შეჯიბრების მონაწილეებს სახელოვან შრომით გამარჯვებას — 537 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებას, რაც გათვალისწინებული იყო სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებებით.

ქვეყნის მთავარი ჩაის საამქროს მშრომელები გვიჩვენებენ იმის მაგალითს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ სუბტროპიკების ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კვების პროდუქტის წარმოების ყოველმხრივ გადიდებისათვის, და ამით შეაქვთ წვლილი ქვეყნის სასურსათო პროგრამის შესრულებაში.

სიხარულით აღვნიშნავ, რომ აზერბაიჯანის მეჩაიეობის განვითარებაში დიდ დახმარებას გვიწევენ მოძმე საქართველოს პლანტაციათა ოსტატები, რომლებთანაც მუდმივი სასარგებლო კონტაქტები გვაქვს დამყარებული.

ვუსურვებთ საქართველოს მეჩაიეებს, შემდგომშიც ყოფილიყვნენ პროდუქციის წარმოების ყოველმხრივი გადიდების, ხარისხის ამაღლებისათვის რესპუბლიკის სოფლის მშრომელთა შეჯიბრების მოთავეები.

მ. მუსაევი,
აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის მახალის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის" ბრიგადირი, აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

● პატივი და დიდება თქვენ

ჩვენი მეგობრების — საქართველოს მეჩაიეების ყოველ შრომით გამარჯვებას, ჩვენ, სომხეთის მიწათმოქმედნი, დიდი სიხარულით აღვიქვამთ ხოლმე. ჩვენთვის კარგად არის ცნობილი, რას ნიშნავს მეჩაიეობა. საკუთარი პროფესიის სიყვარულის გარდა საჭიროა გქონდეს დიდი გამოცდილება შრომას ჩააქსოვო მთელი შენი ძალ-ღონე. მჯერა, საქმის ერთგული ადამიანები არიან ისინი, ვინც კვლავ გაუთქვა საქართველოს მშრომელს, ვინც შეასრულა სამშობლოს წინაშე ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი — მისცა ქვეყანას 537 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — ძვირფასი ნედლეული. პატივი და დიდება თქვენ, ძვირფასო მეგობრებო.

რ. ბადალიანი,
სოციალისტური შრომის გმირი, სომხეთის სს რესპუბლიკის ეჩმიაძინის რაიონის ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

● მისაბაძი მაგალითი

ჩვენ, ადლერელ მეჩაიეებს, ძალზე გაგვიხარდა საქართველოს ჩაის პლანტაციების მშრომელთა დიდი შრომითი გამარჯვება, რომლებმაც 537 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ეს წარმატება მით უფრო შთამბეჭდავია, რომ მას მიაღწიეს ავდრის პირობებში. ქართველ მიწათმოქმედებს არაერთხელ უბრძოლიათ ბუნების ჭირვეულობასთან. გვწამდა, რომ ამჯერად ისინი წარმატებას მიაღწევდნენ და დაძლევდნენ სოციალისტური ვალდებულებებით დასახულ მიჯნას.

ჩვენმა ბრიგადამ წელსაც თავისი სიტყვა შეასრულა, ვადაზე გაანაღდა საგეგმო დავალებები და სოციალისტური ვალდებულებები, მთლიანად კი ჩვენმა საბჭოთა მეურნეობამ წლეულს მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 1026 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, გეგმით დასახული 850 ტონისა და სოციალისტური ვალდებულებებით გათვალისწინებული 900 ტონის ნაცვლად. ჩვენ უკვე დავამთავრეთ ჩაის ფოთლის კრეფა და შევუდექით საშემოდგომო მინდვრის სამუშაოებს, საფუძველს ვუყრით მომავალ მოსავალს.

ჩვენს მეგობრებს — საქართველოს მეჩაიეებს ვუსურვებთ ახალ შრომით წარმატებებს.

ა. მიტჩენკო,
კრასნოდარის მხარის ადლერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.
(საქინფორმი).

„დროება" და „ივერია" წერდა...

● „ამბობენ, რომ ჩვენში ჩაის ხეები უნდა მოაშენონო. მცოდნე პირების სიტყვით, ეს ხე სოხუმში, გურიაში და ლენქორანში ძალიან კარგად მოშენდებაო... თუ ეს ხმა ოდესმე გამართლდა, მაშინ რაღა გვიშავს... ჩაი მაინც გაგვიეფთდება..."
„დროება", 1872 წ. (45).

● „შარშან სექტემბერში ჩვენ დავათვალიერეთ სოხუმში სახაზინო ბოტანიკური [illegible]
„ივერია", 1887 წ. (№ 50)

[illegible] არამედ ზნეობის დაფარვისათვისაც. ცხადად დამტკიცებულია, რომ ჩაი აღძრავს ენერგიას და საქმიანობას, ახალისებს მუშას შრომაზედ".
„დროება", 1874 წ. (№ 409).

● [illegible]
„ივერია", 1897 წ. (№ 42)

● [illegible]
„ივერია", 1839 წ. (№ 174).

● „პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ჩაქვის ჩაიცა გაუგზავნიათ. ამ ჩაის ნიმუშებს გამოფენაზედ ყველას უსასყიდლოდ ურიგებენ თურმე".
„ივერია", 1900 წ. (№ 88)

● [illegible]
„ივერია", 1900 წ. (№ 108)

● [illegible]
„ივერია", 1901 წ. (№ 56).

● [illegible]
„ივერია", 1901 წ. (№ 29)

● [illegible]
„ივერია", 1901 წ. (№ 176).

● „...1907 წელს [illegible]
„დროება", 1909 წ.

შეარჩია [illegible]

მეცნიერება — წარმოებას

სიახლის დანერგვით მიღებული მოგება

მეჩაიეთა და ჩაის მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც ზუგდიდში გაიმართა, დიდი ყურადღება დაეთმო ჩაის ფოთლის წარმოების გადიდებისა და მზა პროდუქციის ხარისხის ამაღლების პრობლემებს.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორ მიმდინარეობს ნედლეულის მიღება-გადამუშავება, რა სიახლე ინერგება ჩაის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის დრანდის ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკაში.

ფაბრიკის დირექტორმა **დავით გვაძაბიამ** გვითხრა: მიმდინარე სეზონში მივიღეთ და გადავამუშავეთ 3.600 ტონაზე მეტი ნედლეული. ფაბრიკის მანქანა-დანადგარები დროულად და მაღალხარისხოვნად შევაკეთეთ, გარდა ამისა, ვიზრუნეთ სიახლეთა დანერგვისათვის.

დავნერგეთ ფაბრიკის კოლექტივის სამცვლიანი, ოთხბრიგადული ცვალებადი გრაფიკით მუშაობა. ამ სიახლემ შესანიშნავი შედეგი მოგვცა. თითქმის მოისპო გაცდენა-დაგვიანების შემთხვევები.

წლევანდელი სეზონი ჩვენი ფაბრიკის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ზრუნვის კიდევ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორით აღინიშნება. წარმოებაში ენერგავთ ჩაის პროდუქციის ხარისხის ამაღლების მიზნით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის უფროსის, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ი. ცოციაშვილის მიერ შემუშავებულ ახალ მეთოდს, რომელიც ჩაის ფოთლის მასის გრეხის პროცესში გამდიდრებით გამოიხატება, ამ მეთოდის სარგებლიანობა და ხარისხობრივი და ეკონომიკური ეფექტი ჩვენთან განხორციელებულმა ექსპერიმენტმა უკვე დაადასტურა.

ამ მიზნით ფაბრიკაში დამონტაჟდა ახალი ექსპერიმენტული დანადგარი შაქრის სიროფის დოზირებული მიწოდებისათვის, რომელიც სამტრედიის მექანიკურ ქარხანაში დაამზადეს. მალე, ზოგიერთი ტექნიკური საკითხის მოგვარების შემდეგ შევუდექით პროდუქციის გამოშვებას ახლებური მეთოდით.

ფაბრიკაში დანერგილმა სიახლეებმა მკვეთრად გაზარდა გამოშვებულ პროდუქციაში უმაღლესი და პირველი ხარისხის ხვედრითი წილი. ხელით გასაკეთებელი ბევრი შრომატევადი სამუშაო შეცვალა მექანიზმებმა, ამაღლდა წარმოების კულტურის დონე. სიახლეების დანერგვამ მარტო გასულ სეზონში 320 ათასი მანეთი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა. და თუ შარშან გეგმით 156 ათასი მანეთი მოგება უნდა მიგვეღო, მან 600 ათასს გადააჭარბა.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი სექტორის უფროსმა, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა **ი. ცოციაშვილმა** კი გვითხრა:

— ჩაის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ რაციონალურ მეთოდად შეიძლება მივიჩნიოთ გადასამუშავებელი ნედლეულის ხელოვნური გამდიდრება იმ ნივთიერებებით, რომლებიც აყალიბებს მზა პროდუქციის გემოსა და სურნელებას. მაღალი ტემპერატურის პირობებში ამინომჟავეებისა და შაქრის ურთიერთმოქმედებით სურნელოვანი პროდუქტების მიღების პრინციპის საფუძველზე შევიმუშავეთ ბაიხის ჩაის ხარისხის გაუმჯობესების მეთოდი გრეხის პროცესში მასის ხსნადი შაქრებით გამდიდრების გზით.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ სათანადოდ შეაფასა ამ მეთოდის ეკონომიკური და ტექნოლოგიური ეფექტი და მისდამი დაქვემდებარებულ უწყებებს დაავალა მოეწყოთ მისი ფართო საწარმოო გამოცდა. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა მახარაძის პირველ და დრანდის ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკებში. ეს მეთოდი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა უკვე დაამტკიცა საავტორო მოწმობით.

ამ გამოგონების წარმოებაში ფართოდ დანერგვის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა იმანაც განაპირობა, რომ რესპუბლიკის მასშტაბით მისი დანერგვა, ოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად სახელმწიფოს მისცემს 60 მილიონ მანეთზე მეტ მოგებას. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ დღეს უპირველესი ამოცანა სურნელოვანი და ექსტრაქტული ჩაის წარმოებაა, ნათელი გახდება ზემოაღნიშნული გამოგონების სამომხმარებლო ღირებულებაც.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

როცა გაკვეთილს სიხარულით ელიან

სოფელ მუხრანის საშუალო სკოლაში წარმატებით მიმდინარეობს პედაგოგიური ექსპერიმენტი რუსული და უცხოური ენების სწავლების გაუმჯობესებისათვის

სწავლების ეფექტიანობის ამაღლების გზების ძიება პედაგოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა. ამას კი, ნებსით თუ უნებლიეთ, სწავლების ტრადიციული საშუალებებისა და მეთოდების ჩარჩოებს გარეთ გავყავართ. ასე ვდგებით სწავლებაში ახალი ელემენტების შეტანის აუცილებლობის წინაშე. ამის გაკეთება, ცხადია, ხელაღებით არ შეიძლება და იწყება კვლევა, ცდები, ექსპერიმენტები..

ექსპერიმენტული სწავლება ჩვენს რესპუბლიკაში უკვე კარგა ხანია მიმდინარეობს და ამ მხრივ გარკვეული გამოცდილებაც დაგროვდა. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტული პროგრამებით სწავლება ხელს უწყობს არა მარტო ამა თუ იმ საგანში ცოდნის ათვისების ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს დაინახოს სასწავლო საგნის ისეთი კავშირი და დამოკიდებულებანი, რომლებიც განზოგადებისა და აბსტრაქციის, საბოლოო ანგარიშით კი აზროვნების განვითარებულ უნარს, მაღალ დონეს მოითხოვს.

სასკოლო სწავლების გაუმჯობესებისათვის ჩვენში ბევრი რამ კეთდება როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ასპექტით. როგორ შევძლოთ პრაქტიკულად სწავლების საშუალებებისა და მეთოდების შეხამება სასწავლო საგნების პროგრამების აგების ახალ ხერხებთან? ჩვენს რესპუბლიკაში ეს სოფელ მუხრანის საშუალო სკოლის მაგალითითაც შეიძლება ვნახოთ, თუმცაღა ამისათვის ოთხიოდე წლის წინანდელი ამბების გახსენება დაგვჭირდება.

1978 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ სპეციალური ბრძანება გამოსცა „რუსული და უცხოური ენების სწავლების სრული უზრუნველყოფის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის ჩატარების შესახებ“. გადაწყდა, რომ ეს ექსპერიმენტი სოფლადაც, კერძოდ, მუხრანის საშუალო სკოლაში ჩაეტარებინათ. მუხრანელ მასწავლებლებს ძიებებით აღსავსე სადაგი დღეები დაუდგათ, მუხრანის სკოლა კი უცებ რესპუბლიკის პედაგოგიური საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა. ექსპერიმენტის თაოსანი თავად საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ქინქლაძე იყო. ბუნებრივია, ამ საქმეში ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიც ჩაება. IV-V კლასებში, რომლებშიც ექსპერიმენტი უნდა დაწყებულიყო, გადანაწილდა სასწავლო მასალა და შესაბამისად საათების რაოდენობაც რუსულ და გერმანულ ენებში, შედგა საპროგრამო მასალის კალენდარული გეგმა I და II სემესტრებისათვის, ცოტა ხნის შემდეგ კი გამოიცა მეთოდიკური რეკომენდაციები და მითითებანი მასწავლებელთათვის. ყოველივე ეს, ცხადია, გარკვეულ მიზანს ექვემდებარებოდა, ექსპერიმენტატორებმა კარგად იცოდნენ, რომ სწავლების ტიპის გავლენა ბავშვის განვითარებაზე საკმაოდ დიდია და მნიშვნელოვანი შედეგები მოაქვს, მისი ეფექტი შეიძლება იმ სფეროშიც კი გამოვლინდეს, რომელიც სპეციალური დამუშავების საგანს არც შეადგენს სასწავლო პროცესში.

ამ ექსპერიმენტის არსი ის არის, რომ ერთ რომელიმე სემესტრში სასწავლო საათების კონცენტრაცია მოსწავლეთა სამეტყველო პრაქტიკის გაფართოების შესაძლებლობას ქმნის, ხოლო მეორე სემესტრში, სასწავლო საათების შემცირებული რაოდენობის დროს ინტენსიური კლასგარეშე მუშაობა მოსწავლეთა მიერ შეძენილი ცოდნის განმტკიცებისა და გაღრმავების საწინდარია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებმა, მეტწილად, გამართულად არ იციან რუსული ენა, აქვთ დაბალი სამეტყველო კულტურა და ღარიბი ლექსიკა, ამასთან არც მართლწერის მტკიცე ჩვევებით გამოირჩევიან, გასაგები გახდება ამ ექსპერიმენტის უდიდესი მნიშვნელობა.

სასწავლო საათების კონცენტრაციას ის სიკეთეც ახლავს, რომ მოსწავლეებს ბევრად უფრო უადვილდებათ დღეში 3-4 საგნის მომზადება, ვიდრე 5-6-ისა. ჩვეულებრივ პირობებში ზეპირი რუსული მეტყველების დაუფლებაზე მოსწავლეებს შედარებით ნაკლები დრო რჩებათ, ვიდრე საათების დაწყვილებისას, ასე რომ, სასწავლო საათების კონცენტრაციით ფართოვდება მათი სამეტყველო გარემო; ერთ სემესტრში დაწყვილებული გაკვეთილები — რუსული ზეპირი და წერითი — მეტყველების გაცილებით სწრაფად და მტკიცედ დაუფლების შესაძლებლობას იძლევა.

ამასთან ექსპერიმენტი მიზნად ისახავს ქართული სკოლის IV-V კლასებში რუსულ ენაში საკლასო და კლასგარეშე მუშაობის ეფექტიანი ფორმებისა და სახეების, მეთოდებისა და ხერხების გამოვლენას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რუსული ენის შეგნებულად დაუფლებას.

დაწყვილებული გაკვეთილები კონცენტრირებული სწავლების თავისებურებაა. დაწყვილებული გაკვეთილები ორი დამოუკიდებელი, მაგრამ ერთმანეთზე გადაბმული გაკვეთილისაგან შედგება. ეს იმას ნიშნავს, რომ ორი გაკვეთილი ერთ მთლიანად წარმოგვიდგება, რის შედეგადაც ჩვეულებრივი გაკვეთილის ტრადიციული სტრუქტურის ზოგიერთი მონაკვეთი, ვთქვათ, ორგანიზაციული მომენტი, საშინაო დავალების შემოწმება, ახალი მასალის ახსნა მხოლოდ ერთხელ ხდება, ამრიგად დაზოგილი დრო კი ხმარდება ახალი მასალის განმტკიცებას, ზეპირი მეტყველების ჩვევების გამომუშავებას, რჩება დრო დიდაქტიკური თამაშების, როლებით კითხვის, ფიზკულტპაუზების და სხვათა მოსაწყობად. ცხადია, მასწავლებლები ამ მუშაობას მიზნობრივად წარმართავენ, საექსპერიმენტო კლასების რუსული ენის მასწავლებელთაგან ამ მხრივ გამოირჩევიან ნინო ხატიაშვილი და სვეტლანა კარაპეტიანი. ძირითადი მაინც ის არის, რომ დაწყვილებული გაკვეთილები მეტყველების განვითარებაზე სისტემატური, გეგმაზომიერი მუშაობის საშუალებას იძლევა. მთელი ამ მუშაობის მთავარი დანიშნულება კი ის არის, რომ ავალაპარაკოთ მოსწავლე.

მუხრანის საშუალო სკოლაში სასწავლო წლის პირველ ნახევარში რუსული ენის საათები IV კლასში დაწყვილებულია გერმანული ენის საათების ხარჯზე. გერმანული ენის სწავლება კი სწორედ IV კლასიდან იწყება. ასე რომ, ამ კლასში გერმანულ ენაში I სემესტრში კვირაში მხოლოდ ერთი საათი რჩება. ბუნებრივია, უცხოური ენის დაუფლების ჩვევები ბავშვს ჯერ გამომუშავებული არა აქვს და კვირიდან კვირამდე ავიწყდება მიღებული ინფორმაცია. ზარალდება სისტემატურობის პრინციპი, რომელსაც ასეთ ვითარებაში მეტი მნიშვნელობა ენიჭება.. ამიტომ უკეთესი ხომ არ იქნებოდა, დაწყვილება არ მოხდეს ისეთი საგნის ხარჯზე, რომლის შესწავლაც ბავშვმა პირველად დაიწყო?

მუხრანის საშუალო სკოლა ექსპერიმენტის ჩასატარებლად შემთხვევით არ შერჩეულა. ბუნებრივია, ახლის გამოცდა და მერე დანერგვაც ძლიერ ბაზაზე უნდა მომხდარიყო. მუხრანის საშუალო სკოლა არა მარტო თანამედროვე ტიპის სკოლაა, არამედ მოწინავეც არის სოფლის სკოლათა შორის. ცხადია, თავისთავად იგულისხმება, რომ სკოლა აღჭურვილია სწავლების უახლესი ტექნიკური საშუალებებით, დამხმარე სასწავლო-დიდაქტიკური მასალებით, აქვს კარგად მოწყობილი კლას-კაბინეტები, მათ შორის ლინგაფონის კაბინეტიც, ფიზკულტურის დარბაზი, ფეხბურთის მოედანი, ფართო ეზო. სკოლის დირექტორი კოტე ქოქოსაძე, მისი მოადგილეები სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში გულო ქსოვრელიშვილი და თინა იორდანიშვილი, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი თამარ რთველიაშვილი, ყველა მასწავლებელი ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებენ სკოლას, მოსწავლეებს, რომელთა რაოდენობა 770-მდე აღწევს. ამის შედეგია, რომ სკოლაში მეორეწლიანობა პრაქტიკულად არ არის. სკოლაში ჩამოყალიბებულია მთელ რაიონში განთქმული მოცეკვავეთა წრე, რომელიც დროდადრო მონაწილეობს რესპუბლიკურ და საკავშირო დათვალიერებებში და ამ სარბიელზე გარკვეული წარმატებებიც აქვს მოპოვებული.

სკოლაში მაღალ დონეზეა დაყენებული შრომითი აღზრდაც. აქ უფროსკლასელთაგან შექმნილია შრომისა და დასვენების ბანაკი. მისი წევრები აქტიურად ეხმარებიან მუხრანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობას. უვლიან ვაზს, ხეხილს, მონაწილეობენ მოსავლის აღებაშიც — რთველში, ხილის კრეფაში.

მუხრანის საშუალო სკოლა დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ყველა იმ სიახლეს, რომლებიც რესპუბლიკის სკოლებში ამ ბოლო წლების მანძილზე დაინერგა — იქნება ეს დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, ფიზკულტურისათვის დიდი დასვენების გამოყენება, საშემოდგომო გამოცდების გაუქმება და არადამაკმაყოფილებელნიშნიან მოსწავლეებთან ორგანიზებული ინდივიდუალური მუშაობის მოწყობა დამატებითი გამოცდებზე გასაყვანად თუ სხვა რამ.

ბოლო სიახლის — კონცენტრირებული სწავლების პირველი დადებითი შედეგები უკვე თვალნათლივ ჩანს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ექსპერიმენტული და ჩვეულებრივი კლასების ბავშვების ზეპირ მეტყველებაზე დაკვირვებისას. ექსპერიმენტული კლასების მოსწავლეებს სასაუბრო ენა ბევრად უფრო გატეხილი აქვთ. ეს განსხვავება თავს იჩენს წერითი ნამუშევრების შედარების დროსაც.

თვით ბავშვებს კი ძალიან მოსწონთ დაწყვილებული საათები, ისინი სიხარულით ელიან ყოველ ასეთ გაკვეთილს და ექსპერიმენტიც გრძელდება.

გ. ხანდამიშვილი,
საქართველოს სსრ მასწავლებელთა V ყრილობის დელეგატი.

საკდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

28 ოქტომბერი

გენერალურ ასამბლეაში

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე კომიტეტმა (მეურვეობისა და არამართვადი ტერიტორიების საკითხი) განიხილა დეკოლონიზაციის საკითხები, მიიღო გადაწყვეტილების პროექტი, რომელიც შეიცავს მოწოდებას ბოლო მოეღოს სამხედრო მოქმედებას დამოუკიდებელ ტერიტორიებზე და მოიხსნას იქ განლაგებული სამხედრო ბაზები. კოლონიური სახელმწიფოების ასეთი საქმიანობა, ნათქვამია დოკუმენტში, ხელს უშლის ამ ტერიტორიების ხალხების თვითგამორკვევასა და დამოუკიდებლობის მიღწევას. გადაწყვეტილების პროექტი მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბლოკში მისი უახლოესი მოკავშირეების აქტიური ოპოზიციის მიუხედავად 94 ხმით 10-ის წინააღმდეგ.

ამრიგად, შეერთებულმა შტატებმა და მისმა პარტნიორებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ხალხთა უფლებების პატივისცემის შესახებ თავიანთი გაუთავებელი ლაპარაკის ფარისევლური ხასიათი. ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელი, როგორც კომიტეტში აღინიშნა დეკოლონიზაციის საკითხებზე დისკუსიის დროს, — უშუალო საფრთხეს უქმნის ამ ხალხების ინტერესებს.

● საფრანგეთი

მიიღეს კანონპროექტი

პარიზი. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ მიიღო კანონპროექტი „ეკონომიკის სახელმწიფო სექტორის დემოკრატიზაციის შესახებ“. მის შესაბამისად ადმინისტრაციულ საბჭოებში — საწარმოების მართვის მთავარ ორგანოებში — მონაწილეობას მიიღებენ მუშა-მოსამსახურეთა მიერ არჩეული წარმომადგენლები. გაფართოვდება აგრეთვე ნაციონალიზებული სექტორის საწარმოთა მშრომელების დემოკრატიული უფლებები. ამ მიზნით თითოეულ საწარმოო ქვედანაყოფში, საწარმოებსა და დაწესებულებებში გათვალისწინებულია სამქრო საბჭოების შექმნა. მათ მიეცემათ უფლება მონაწილეობდნენ შრომის პირობების გაუმჯობესების, პროფკავშირული ორგანიზაციებისათვის სამუშაო პირობების შექმნის პროცესში, აგრეთვე საწარმოს მუშაკთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაში.

დეკრეტი ნაციონალიზებული სექტორის საწარმოებს მართვის ავტონომიის უფლებას ანიჭებს.

მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის

საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელი შემადგენლობის თათბირზე. საზღვარგარეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირი საზოგადოებრიობას მოუწოდებს გააორკეცოს, გაასამკეცოს ძალისხმევა მშვიდობის შენარჩუნებისა და იმ საფრთხის აღკვეთისათვის ბრძოლაში, რომელსაც კაცობრიობას უქმნის ბირთვული ომი, თანამიმდევრულად იღვწის დაძაბულობის შენელების შენარჩუნებისა და დამკვიდრების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების საწინააღმდეგოდ, რომელიც დაძაბულობის გამწვავების, გამალებული შეიარაღების შემდგომი ზრდის გზას ადგას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, წერს გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდ“ (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), მოგვიწოდა ვამრავლოთ მეცადინეობა მშვიდობისათვის ბრძოლაში, და აღნიშნა, რომ იმპერიალიზმმა უპასუხისმგებლოდ შეაგდო სასწორზე ხალხთა სვე ბედი. საბჭოთა ხელმძღვანელმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს როგორც მშვიდობისა და უშიშროების მძლავრ ფაქტორს. მან თქვა, რომ ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა გავაფართოოთ თანამოქმედება ყველასთან, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყნად მშვიდობა.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გააჩაღეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური შეტევა სოციალიზმის წინააღმდეგ, უმაგალითოდ გააძლიერეს თავიანთი სამხედრო სამზადისის ინტენსიურობა, აღნიშნავს პოლონური „ტრიბუნა ლუდუ“. ვაშინგტონის აგრესიული პოლიტიკა მსოფლიოს ბირთვული ომის ხანძარში უპირებს გახვევას. ასეთ პირობებში საჭიროა გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ ძალისხმევა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.

აშუქებს რა ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვას, გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს: საბჭოთა ხელმძღვანელმა ბრალად დასდო რეიგანის ადმინისტრაციას ავანტიურიზმი, უხეშობა და დაუფარავი ეგოიზმი, და განაცხადა, რომ ვაშინგტონის პოლიტიკა ბირთვული ომის ხანძარში უპირებს გახვევას მსოფლიოს. იცავს რა მშვიდობის პოლიტიკას, ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საერთაშორისო ვითარება კვლავინდებურად უარესდება ამერიკის შეერთებული შტატების მიზეზით, და რომ წამოჭრილი ახალ-ახალი საკითხები დაუყოვნებლივ უნდა გადაწყდეს. საბჭოთა ხელმძღვანელი შეეხო სამხედრო-ტექნიკურ სარბიელზე ბრძოლის საკითხებს, რომელიც მისი თქმით, მკვეთრად გამწვავდა, და განაცხადა, რომ ამ ბრძოლაში ჩამორჩენა ყოვლად დაუშვებელია.

ტელეკომპანია „ენ-ბი-სი“ აღნიშნავს, რომ როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, სსრ კავშირს გულწრფელად სწადია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის ნორმალიზაცია და იგი ყოველ ღონეს ხმარობს ამ მიმართულებით.

ინგლისის „გარდიანი“ წერს: ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა მკაფიო სიგნალია დასავლეთისათვის იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირს სამარისად აქვს პოტენციალი და ნებისყოფა, რომ არ დაუშვას სამხედრო-ტექნიკურ სარბიელზე გაჩაღებულ ბრძოლაში ჩამორჩენა და უზრუნველყოს საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის მაღალი დონე.

როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა განაცხადა, იუწყება დასავლეთ გერმანიის [illegible] ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მიმდევრების გზაა გააღრმავონ საერთაშორისო დაძაბულობა, მაქსიმალურად გაამწვავონ ვითარება. საბჭოთა კავშირი ადგას პრინციპულად სხვაგვარ გზას, დაძაბულობის შენელების, საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების გზას.

გაზეთი „ინდონეზია ტაიმსი“ წერს: სსრ კავშირის საგარეოპოლიტიკური გზის მიზანია მიაღწიოს დაძაბულობის შენელებასა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას. საბჭოთა ხელმძღვანელმა ნათლად ცხადყო ეს და ამავე დროს დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, როგორც ავანტიურისტული, უხეში, დაუფარავად ეგოისტური. ეს პოლიტიკა სულ უფრო მეტად აღაშფოთებს მსოფლიოს მრავალი ქვეყნების ხალხებს.

საბჭოთა კავშირი ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის იღვწის, წერს იაპონიის „მაინიჩი“. გაზეთი წერს, რომ სსრ კავშირი საკადრის პასუხს სცემს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ კურსს, რომელმაც დაუფარავად გამოაცხადა „ჯვაროსნული ლაშქრობა“ კომუნიზმის წინააღმდეგ.

ვითარება ლიბანში

დაშინებისა და შანტაჟის პოლიტიკა

● აგრესორის სამხედრო მანევრები ლიბანში ● პატრიოტული ძალები ზრდიან შეიარაღებულ წინააღმდეგობას

ბეირუთი. უკვე ზედიზედ რამდენიმე დღეა აგრესორის მიერ ფეხქვეშ გათელილ ლიბანის მიწა-წყალზე მიმდინარეობს ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალების წვრთნა. ავიაციის მოქმედებასთან ერთად ლიბანის ტერიტორიულ წყლებში კვლავ შეიჭრნენ ისრაელის სამხედრო ხომალდები, რომლებიც ქვეყნის მთელი სანაპიროს გასწვრივ დაცურავენ.

ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ თელ-ავივი, რომელიც ფართო სამხედრო მანევრებს ახორციელებს მიტაცებულ ტერიტორიაზე, ამით ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ლიბანის მთავრობაზე, რათა მიაღებინოს მას ისრაელის კაპიტალისტური პირობები კონფლიქტის „მოწესრიგების“ შესახებ.

პრემიერ-მინისტრმა ბეგინმა, რომელიც გამოვიდა პარლამენტის საგარეო საქმეთა და თავდაცვის კომისიის სხდომაზე, თავხედურად განაცხადა, რომ მისი მთავრობა „მიაღწევს ბეირუთისადმი წაყენებული ყველა მოთხოვნის შესრულებას“.

დაშინების, შანტაჟისა და ზემოქმედების პოლიტიკა, რომელსაც ისრაელის ხელისუფალნი ახორციელებენ ლიბანის მიმართ, ქვეყნის მთელი მოსახლეობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. პატრიოტული ძალები ზრდიან დამპყრობთა მიმართ შეიარაღებულ წინააღმდეგობას.

აქ მიღებული ცნობების თანახმად, ვაშინგტონს განზრახული აქვს ამ კვირაში ლიბანში გაგზავნოს ამერიკელ სამხედრო ქვეით ჯარისკაცთა ახალი პარტია ამერიკის შეერთებული შტატების იმ სამხედრო მოსამსახურეთა სანაცვლოდ, რომლებიც ამჟამად აქ იმყოფებიან მრავალეროვნული ძალების შემადგენლობაში. მანამდე ამერიკის მაღალი თანამდებობის ოფიციალური პირნი აცხადებდნენ, რომ ამ კონტინგენტის ყოფნის ვადა შეიძლება „გახანგრძლივდეს“. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ამ მანევრების მიზანია დაამკვიდროს ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა, რათა ხორცი შეასხას ამერიკა-ისრაელის „მოწესრიგების“ გეგმას და ლიბანი ისრაელის შემდეგ გადააქციოს ახლო აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მნიშვნელობის დასაყრდენ პუნქტად.

ამანი. მდინარე იორდანის ოკუპირებულ დასავლეთ ნაპირზე გრძელდება ისრაელის ხელისუფალთა რეპრესიებისა და ისრაელ კოლონისტთა თარეშის წინააღმდეგ არაბი მოსახლეობის მასობრივი დემონსტრაციები. შეტაკებების შემდეგ, რომელთა დროს ერთი არაბი ჭაბუკი მოკლეს, უშიშროების ძალების ქვეგანაყოფებმა ალყა შემოარტყეს პალესტინელთა ბალატის ბანაკს, ხელისუფლებმა რამდენიმე სკოლა დახურეს ოკუპირებული დასავლეთის ნაპირის უდიდეს ქალაქ ნაბლუსში.

საოკუპაციო ხელისუფალთა წაქეზებითა და აშკარა მფარველობით ისრაელმა კოლონისტებმა რბევა მოაწყვეს პალესტინის სკოლებში. შეიარაღებული არამზადები — ექსტრემისტული რელიგიური ორგანიზაციების წევრები — სცემდნენ მოსწავლეებს, უშენდნენ ავტომატური იარაღის ცეცხლს. ამის შედეგად 15 მოსწავლე დაიჭრა, ზოგიერთი მათგანი მძიმე მდგომარეობაში იმყოფება ჰოსპიტლებში.

დამრბევთა ბანდიტური მოქმედების პასუხად პალესტინელებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს ნაბლუსში. ქალთა მასობრივი დემონსტრაცია გაიმართა ქალაქის საპატიმროს შენობის წინ, სადაც ხელისუფლებმა უკანასკნელ მოვლენათა ასობით მონაწილე ჩასვეს.

პალესტინა — პალესტინელებს!

„შეწყდეს პალესტინელთა ხოცვა-ჟლეტა!“, „ბეგინი და შარონი ტერორისტებია!“ „პალესტინა — პალესტინელებს!“ — ასეთი ლოზუნგებით გაიმართა ამერიკის საზოგადოებრიობის დემონსტრაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ისრაელის წარმომადგენლობასთან. დემონსტრაციის მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს თელავიველ ტერორისტთა მხეცობა და ვაშინგტონის მხრივ მათი მფარველობა და მხარდაჭერა.

● ●

სურათზე: დემონსტრაციის დროს.

აპ-საკდესის ფოტო.

● აშშ

მტრული ნაბიჯი

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მორიგი მტრული ნაბიჯი გადადგა პოლონეთის მიმართ, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა ამ სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის ცდა. პრეზიდენტმა რეიგანმა გამოაცხადა, რომ თეთრმა სახლმა შეწყვიტა ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის გავრცელება პოლონეთზე. თეთრი სახლის წარმომადგენლის თქმით, ეს გადაწყვეტილება ამას წინათ პოლონეთის სეიმის მიერ პროფკავშირების შესახებ მიღებული კანონის გამო ვაშინგტონის „ღრმა უკმაყოფილების გამოხატვის რეალური საშუალებაა“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტმა თავს „უფლება“ მისცა დამოუკიდებელი სახელმწიფოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უკარნახოს, თუ რომელი კანონები მიიღოს და რომელი — არა.

თეთრი სახლის „უკმაყოფილების“ მიზეზი ძნელი გასაგები როდია. სეიმის მიერ მიღებული კანონი მორიგი ღონისძიებაა ქვეყანაში ვითარების მოსაწესრიგებლად და „კონტრრევოლუციის ხრიკების აღსაკვეთად.

● თურქეთი

დააპატიმრეს პროტესტისათვის

სტამბოლი. სტამბოლის უშიშროების სამსახურმა დააპატიმრა 50 კაცი, რომლებმაც პროტესტი განაცხადეს ქვეყნის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამო. იგი არსებითად ზღუდავს მშრომელთა და პროფკავშირთა უფლებებს. როგორც ქალაქის საგანგებო წესების სარდლობამ განაცხადა, ეს პირნი ავრცელებდნენ ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებენ უარი თქვან 7 ნოემბერს დანიშნულ რეფერენდუმზე, რომლის შემდეგაც კონსტიტუცია ძალაში შევა.

ამერიკული ცხოვრების სურათები

სამუშაოს პოვნა... იღბალია

ნიუ-იორკი. ნიუ-იორკის 26-ე ქუჩის კუთხეში ამ რიგში პირველი დგას 48 წლის ეტელ სილვერი. იგი საბანში გახვეულა და ლამობს როგორმე დაიცვას თავი ძვალ-რბილში გამჯდარი შემოდგომის ცივი ქარისა და წვიმისაგან. ეტელი რიგში პირველია, მის მიყოლებით კი ტროტუარზე გამწკრივებულა კიდევ თითქმის ასამდე ადამიანი — მამაკაცები, ქალები, ყმაწვილები. მათ სამი დღე და სამი ღამეა ამ ქუჩიდან ფეხი არ მოუცვლიათ იმ იმედით, რომ ეგებ ამჯერად მაინც გაუღიმოს ბედმა და იშოვონ სამუშაო ნიუ-იორკის რომელიმე მშენებლობაზე. აკი უთხრეს ასეთი შესაძლებლობის შესახებ ხუროთა და დურგალთა პროფკავშირის ადგილობრივ განყოფილებაში.

რამდენს მიიღებენ სამუშაოზე, თუ მიიღეს კია საერთოდ, კაციშვილმა არ იცის, მაგრამ ყველას სასწაულის იმედი აქვს და ელოდება.

ამ დღეებში სამუშაოს შოვნა ნიუ-იორკში მართლაც უმაგალითო იღბალია. უკანასკნელი ოფიციალური მონაცემების თანახმად, უმუშევრობის დონე ამერიკის შეერთებული შტატების უდიდეს ქალაქში უკვე მიუახლოვდა 10 პროცენტს, მაგრამ, როგორც პროფკავშირებს მიაჩნიათ, სინამდვილეში უმუშევრები გაცილებით მეტნი არიან, ვინაიდან ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს იმათ, ვინც უკვე საბოლოოდ ჩაიქნია ხელი და აღარ ტარდება რეგისტრაციაში ნიუ-იორკის შრომის ბირჟებში. თვით პრესის მონაცემებითაც კი ნიუ-იორკის ისეთ გეტოებში, როგორიც არის ჰარლემი, სამხრეთი ბრონქსი და ბრუკლინი, უმუშევრად არის დარჩენილი შრომისუნარიან ქალთა და მამაკაცთა დაახლოებით 50 პროცენტი.

სამართლიანობის სადარაჯოზე

საბჭოთა ნოტარიატს 60 წელი შეუსრულდა

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ აუცილებელი შეიქმნა ძველი სამართლებრივი დაწესებულებების გაუქმება და მათ მაგივრად ახალი საბჭოთა ორგანოების შექმნა. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ უკვე 1917 წლის 24 ნოემბერს სასამართლოების შესახებ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე სხვა რევოლუციამდელ ორგანოებთან ერთად ფაქტობრივად არსებობა სანოტარო კანტორებმაც შეწყვიტეს. პირველ ხანებში მათ მაგივრად ზოგიერთი ქალაქის ადგილობრივ საბჭოებთან შეიქმნა სანოტარო განყოფილებები. შემდეგ სამოქალაქო ომით გამოწვეული ვითარების შესაბამისად გაუქმდა ასეთი განყოფილებები და მათი ფუნქციები გადაეცა ადგილობრივი საბჭოების კომუნალურ, სოციალური უზრუნველყოფის, მმაჩის და იურიდიულ განყოფილებებს, 1919 წლის თებერვალში შეიქმნა სანოტარო მაგიდები ქალაქებში გუბერნიის იუსტიციის განყოფილებებთან, ხოლო მაზრებში — სახალხო სასამართლოებთან.

ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭირო გახდა სახელმწიფო აქტიურად ჩარეულიყო სამოქალაქო ურთიერთობებში და, ცხადია, ამ საკითხში მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა ისეთ ორგანოს, როგორიც ნოტარიატია.

1922 წლის იანვარში სრულიად რუსეთის იუსტიციის მუშაკთა IV ყრილობამ განიხილა საბჭოთა ნოტარიატის ჩამოყალიბების საკითხები და 1922 წლის 4 ოქტომბერს რსფსრ სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დებულება სახელმწიფო ნოტარიატის შესახებ. ამ დებულებით საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ნოტარიატს და იგი იუსტიციის სისტემაში დამოუკიდებელი ორგანო გახდა.

ცხადია, დროთა განმავლობაში იზრდებოდა სანოტარო მოქმედებათა ოდენობა, მრავლდებოდა მისი კანტორების რიცხვი, რის გამო საჭირო გახდა გამოცემულიყო სანოტარო კანტორების შესახებ საერთო-საკავშირო აქტი. ამიტომ 1926 წლის 14 მაისს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება „სახელმწიფო ნოტარიატის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპების შესახებ“, ამ დადგენილებამ უზრუნველყო სანოტარო კანტორების ორგანიზაციის ერთიანი წესი, განსაზღვრა მათ მიერ შესრულებულ სანოტარო მოქმედებათა წრე.

ნოტარიატის შესახებ საკავშირო კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად საქართველოშიც ვითარდებოდა და იხვეწებოდა ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობა, ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანოტარო კანტორები მუშაობას წარმართავენ საქართველოს სსრ ნოტარიატის შესახებ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, რომელიც მიღებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1974 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით და იგი ძალაში შევიდა 1975 წლის 1 აპრილიდან. ამ კანონის საფუძველზე შემუშავებულია საქართველოს სსრ სახელმწიფო სანოტარო კანტორების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების შესახებ ინსტრუქცია, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

კანონის პირველი მუხლის თანახმად სახელმწიფო ნოტარიატი იცავს სოციალისტური საკუთრების, მოქალაქეთა, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმო-ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებს და კანონიერ ინტერესებს, განამტკიცებს სოციალისტურ კანონიერებას და მართლწესრიგს, ხელს უწყობს ხელშეკრულებათა და სხვა გარიგებათა სწორი და დროული დადასტურების, მემკვიდრეობის უფლების გაფორმების, სააღსრულებო წარწერებისა და სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულების გზით სამართალდარღვევების თავიდან აცილებას.

სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია 130 სახელმწიფო სანოტარო კანტორა, რომლებმაც მარტო შარშან 1.028.095 სანოტარო მოქმედება შეასრულეს. მათ შორის, ყველაზე რთულ სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად საქართველოს სსრ დედაქალაქში, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ დედაქალაქებში — სოხუმსა და ბათუმში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრში — ქ. ცხინვალში შექმნილია პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორები.

სახელმწიფო ნოტარიუსები თავიანთ საქმიანობაში დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს. სახელმწიფო ნოტარიუსი კანონზე დაყრდნობით დამოუკიდებლად წყვეტს საკითხს — შეასრულოს სანოტარო მოქმედება თუ უარი ეთქვას მის შესრულებაზე უსაფუძვლობის გამო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სანოტარო მოქმედების გაუქმება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს.

სახელმწიფო ნოტარიუსები ვალდებული არიან აგრეთვე მოქალაქეს გაუწიონ სამართლებრივი დახმარება, აუხსნან თავიანთი უფლება-მოვალეობანი ამა თუ იმ სანოტარო მოქმედების შესრულებისას, რათა იურისპრუდენციაში გაუთვითცნობიერება არ გახდეს მათი მოქალაქეობრივი უფლების შელახვის საფუძველი.

სანოტარო კანტორების მუშაობის მაღალი მაჩვენებლების საწინდარია მათი მაღალკვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება. იუსტიციის სამინისტრო მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ამ მხრივ. ამჟამად სახელმწიფო ნოტარიუსებად მუშაობენ მხოლოდ უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირები.

ბევრი რამ კეთდება სახელმწიფო ნოტარიუსების კვალიფიკაციისა და პროფესიული დონის ამაღლების საქმეში. მაგალითად, ახლად დანიშნული ნოტარიუსები გადიან ერთთვიან სტაჟირებას პირველ სახელმწიფო სანოტარო კანტორებში, ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ იმაღლებენ კვალიფიკაციას იუსტიციის სამინისტროს მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებზე. სამინისტროს ადვოკატურის, ნოტარიატისა და მმაჩის ორგანოების სამმართველოში ყოველთვიურად ეწყობა სემინარები, სადაც იხილება ყველაზე აქტუალური საკითხები.

სამინისტრო მუდმივ კონტროლს უწევს სანოტარო კანტორების მუშაობას. ამ მიზნით ყოველ ორ წელიწადში ერთხელ მოწმდება სანოტარო კანტორის მუშაობა, რომლის შედეგები იხილება სამინისტროს კოლეგიაზე ან სამმართველოს ოპერატიულ თათბირებზე.

სანოტარო კანტორების მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთი ფორმაა რესპუბლიკის საუკეთესო სანოტარო კანტორების წოდების მოპოვებისათვის კონკურს-დათვალიერების მოწყობა, რომლის შედეგებს იხილავს სამინისტროს კოლეგიისა და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის გაერთიანებული სხდომა.

ამ საზეიმო დღეს ისიც გვინდა აღვნიშნოთ, რომ იუსტიციის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ორ სახელმწიფო ნოტარიუსს — ქ. თბილისის მე-3 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს ლილი სავლეს ასულ ჭუმბურიძეს და ქ. რუსთავის პირველი სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსს მარგარიტა ივანეს ასულ თუხარელს მინიჭებული აქვთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება. მთელი რიგი სახელმწიფო ნოტარიუსები შრომაში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული არიან იუსტიციის სამინისტროს სამკერდე ნიშნით და საპატიო წოდებით, გამოცხადებული აქვთ მადლობები როგორც საკავშირო იუსტიციის სამინისტროს, ასევე რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიერ. ასეთებია, მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ჰ. ჩხაიძე, ქ. ქუთაისის მე-2 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი ს. ედიბერიძე, ამბროლაურის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი გ. ხიდურელი, ქ. თბილისის მე-4 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მ. დოლიძე, ქ. თბილისის მე-7 სახელმწიფო სანოტარო კანტორის ნოტარიუსი მ. ძლიერიშვილი და სხვ.

მიუხედავად გარკვეული წარმატებებისა, სანოტარო კანტორების მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებებიც არის. კერძოდ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სახელმწიფო ნოტარიუსი არ ცდილობს აიმაღლოს პროფესიული ცოდნის დონე, მინდობილ საქმეს უსულგულოდ და უპასუხისმგებლოდ ეკიდება. ამას ისიც ემატება, რომ ჯერ კიდევ ვერ შევძელით კარგი სამუშაო პირობების შექმნა, ზოგიერთი სანოტარო კანტორა მოთავსებულია ისეთ შენობებში, სადაც მუშაობის ელემენტარული პირობებიც კი არა აქვთ.

საბჭოთა ნოტარიატის 60 წლისთავი ქვეყნის იუსტიციის ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის საიუბილეო ზეიმია, რომელიც დიდ ამოცანებს გვისახავს პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს იუსტიციის სისტემის კოლექტივები, მუშაკები ყველაფერს იღონებენ, რათა წარმატებით შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა, კანონიერება და წესრიგი დაამკვიდრონ სანოტარო მეურნეობაში.

ა. კვიწინია,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე.

შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება!

— „დილა მშვიდობისა“, „საღამო მშვიდობისა“ — ოდითგანვე ასე იწყება და მთავრდება თითოეული ქართველის დღე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სოციალისტური შრომის გმირმა, პოეტმა აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ. — ეს გამოთქმა გამოხატავს ჩემი მრავალტანჯული ხალხის მისწრაფებას მშვიდი, აღმშენებლობითი ცხოვრებისადმი. რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ, თითქმის 200 წელია ქართულ მიწა-წყალზე ფეხი არ დაუდგამს მტერს. მაგრამ დღეს პატარა საქართველოს მცხოვრებლებს ესმით, რომ მშვიდობის საკითხი მათთვის და მთელი პლანეტისათვის განუყოფელია. აი რატომ ვაწერ ხელს მოწოდებას — შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება. აი რატომ არის, რომ ათასობით ჩემი თანამოქალაქე, ერთსულოვნად უჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 37-ე სესიისადმი საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეთა მიმართვას, რომელიც შეიცავს მოწოდებას უფრო მტკიცედ და ეფექტიანად ვიბრძოლოთ საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის.

მთელ საქართველოში ამ დღეებში იმართება ომის საწინააღმდეგო მიტინგები და მანიფესტაციები. საწარმოთა და კოლმეურნეობათა მშრომელები დადგნენ მშვიდობის ვახტზე, მშვიდობის რეისებს ასრულებენ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლები. მშვიდობის ფონდში გადარიცხეს სპექტაკლების შედეგად მიღებული ფულადი შემოსავალი თბილისის ზ. ფალიაშვილის, კ. მარჯანიშვილის, ა. გრიბოედოვის, ვ. აბაშიძის სახელობის, მეტეხის ახალგაზრდული და გლდანის, მოზარდ მაყურებელთა ქართულმა თეატრებმა.

ომის წამომწყებთა წინააღმდეგ გულისწყრომით აღსავსე პროტესტი გაისმა თბილისის ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მუშათა მიტინგზე. მიტინგზე გამოვიდნენ გაერთიანების პარტკომის მდივანი ი. კულიჯანოვი, გამომჭრელთა ბრიგადირი ვ. კოდალაშვილი, ომის ვეტერანი გ. ლომიძე, რესპუბლიკის კომკავშირის ყრილობის დელეგატი ი. ჩუპინი და სხვები. მათ ილაპარაკეს ნატოს ქვეყნების და, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ მისწრაფებათა საშიშროების შესახებ, რომლებიც მსოფლიოს უბიძგებენ ბირთვული კატასტროფის გზაზე. აქ ხაზგასმით აღინიშნა, რომ საომარი, თუნდაც ყველაზე შეზღუდული საომარი, კონფლიქტის შესახებ ყოველგვარი აზრი შეუთავსებელია ადამიანის ბუნებასთან. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საბჭოთა მთავრობის თანამიმდევრულ კურსს, რომლის მიზანია მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცება. (საქინფორმი).



ბადგას ზეგარდმო ნათელი

სართულ და სართულ
იზრდები,
უფრო
ზემოთ და
ზემოთ.
შუქით ივსები, ირთვები,
თბილის ქალაქო ჩემო!
სხვა სურნელი გაქვს,
სხვა ფერი,
სხვა მარილი
და გემო.
გადგას ზეგარდმო ნათელი,
თბილის ქალაქო ჩემო!
სიცოცხლე ხარ და სუნთქვა
ხარ
და საფიცარი
ხალხთა,
ბარათაშვილის ქუჩაზე
ძველი თბილისი დამხვდა.
ვხედავ აივნებს ჩუქურთმით
ნახარატებს და
ნაქსოვს.
კლდეზე მიდგმული ქალაქი
რაც ბიჭობაში მახსოვს:
ბანოვანები ბანებზე
გოგმანით,
მიხვრა-
მოხვრით.
თავს იწონებენ კაცები
ქამარ-ხანჯლით და ჩოხით.
უმზერენ აივანებზე
ლამაზებს ჩუმი ოხვრით.
ძველი თბილისის სურნელი
სწორედ აქედან მოჰქრის...
თბილისს სიცოცხლედ
კვლავ უვლის
სიყვარული და
ძმობა
და დიდი დღესასწაული
ეს თბილისქალაქობა!

შოთა ხოდაშნელი.

საზეიმოდ მოირთო და მოიხატა

ამ დღეს უკვე ისე ველოდებით, როგორც წლობით სისხლში გამჯდარ რომელიმე დღესასწაულს. ის კი არა, ყოველი ოქტომბრის ბოლოს რომ საქართველოში თბილისქალაქობაა, უკვე რესპუბლიკის გარეთაც იციან ჩვენმა მოკეთეებმა და მეგობრებმა. როგორც მთელი საქართველო მოიჩქარის ამ დღეს თბილის-ქალაქისაკენ, ასევე მოემგზავრებიან დელეგაციებიც მოკავშირე რესპუბლიკებიდან სახალხო ზეიმში, ინტერნაციონალურ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად, რომლის დევიზი — „თბილისი მეგობრობისა და ძმობის ქალაქია“ — უკვე მრავალმეტყველია.

და იმაზე, თუ როგორ მოემზადა წლევანდელი ზეიმისათვის დედაქალაქის ყოველი კუთხე-კუნჭული, მისი ცხრა რაიონი, მოგვითხრობენ „კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები.

ლენინის რაიონი

გლდანის რაიონი

პირველი მაისის რაიონი

კიროვის რაიონი

ოქტომბრის რაიონი

კალინინის რაიონი

ორჯონიკიძის რაიონი

26 კომისრის რაიონი

საბურთალოს რაიონი

ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ

თბილისი ჩემი სახლია

ფოტომოთხრობა დედაქალაქზე

საქინფორმის მასალებით გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ თბილისობისათვის გამოშვებული ეს ბუკლეტი იხსნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ. შესავალ სტატიაში „მრავალჟამიერ თბილისობა“ ვკითხულობთ: „ყოველ ქალაქს, მით უმეტეს, ძველთაძველს, თავისი ტრადიციები აქვს. ქალაქის ისტორიით შობილი, ქალაქის ხასიათისაგან განუყოფელი ტრადიციები ჩვენ გვანიჭებენ ენით აუწერელ გრძნობას — მოქალაქეთა იმ მრავალი თაობის სულიერი კუთვნილების გრძნობას, რომლებსაც უთბილისოდ სიცოცხლე არ წარმოუდგენიათ. თბილისის ახალი ტრადიცია — გამარჯვებული შრომის, ძმობისა და მეგობრობის ინტერნაციონალური, სახალხო დღესასწაული—თბილი-

ლიტიკის, შრომის, ხელოვნების, ხალხური შემოქმედების გამარჯვებას.

განსაკუთრებული სიამაყით შეუძლია გაიმეოროს ყოველმა თბილისელმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები: „ლამაზი და თავაზიანი დაგვახსომდება თბილისი. მშვენიერია თბილისის ძველი უბნები, რომლებიც განახლებული დაუბრუნდნენ ცხოვრებას. ამ უბნებს ალტაცებაში მოჰყავდა გრიბოედოვი და პუშკინი. სწორედ მათ უმღერა ფიროსმანის ფუნჯმა“. ეს სიტყვები უძღვის წინ ფოტომოთხრობას საქართველოს დედაქალაქის, მისი ღირსშესანიშნაობების, სახელოვანი აწმყოს, მშრომელების შესახებ, რომლებიც რესპუბლიკის მშვენება და სიამაყეა.

ყაბახი

ფრე — 0:0

ვინც მოსკოვის „ტორპედოსა“ და თბილისის „დინამოს“ ფეხბუ-

...ვა მეტოქენი. თბილისელები სატურნირო ცხრილში ამჟამად მესამე ადგილზე იმყოფებიან, მაგრამ საპრიზო სამეულში დამკვიდრება უკვე ერთობ პრობლემატური გახდა. ეს რომ ასეა, ყველა დარწმუნდება, ვინც გათამაშების ცხრილს გადახედავს:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„დინ.“ (მნ)	30	16	8	6	49-30	40
„სპარტაკი“	30	15	8	7	53-28	38
„დინ.“ (თბ)	31	15	8	8	48-41	38
„დინ.“ (კ)	29	14	10	5	46-19	38
„არარატი“	31	13	9	9	41-42	35
„ფახთაქ.“	30	11	9	10	38-36	31
„ტორპ.“ (მ)	30	11	8	11	34-31	30
„ზენიტი“	30	11	8	11	38-37	30
„მეტალის.“	31	10	10	11	31-31	30
„დნეპრი“	31	10	11	10	32-36	30
„დინ.“ (მ)	30	12	5	13	37-40	29
„ჩერნომ.“	30	9	11	10	25-27	28
„ტორპ.“ (ქ)	30	9	8	13	36-41	26
„ნეფთჩი“	30	10	5	15	38-56	25
ცსკა	30	8	9	13	35-43	25
„შახტიორი“	30	8	8	14	36-51	24
„ყუბანი“	29	7	8	14	32-48	22
„ყაირათი“	30	6	9	15	30-47	21

ხვალ, 30 ოქტომბერს მორიგი ტურის კალენდარული მატჩები გაიმართება. „ჩერნომორეცი“ უმასპინძლებს „სპარტაკს“, კიევის „დინამო“ — მოსკოვის „დინამოს“, მინსკის „დინამო“ — „ყაირათს“, ცსკა — ქუთაისის „ტორპედოს“, „შახტიორი“ — „დნეპრს“, „ყუბანი“ — „მეტალისტს“; 31 ოქტომბერს „ზენიტი“ მიიღებს „ფახთაქორს“, მოსკოვის „ტორპედო“ — „ნეფთჩის“.

მოკლედ

გაიმართა ევროპის ჩემპიონატის პროგრამით გათვალისწინებული ორი შეხვედრა. ესპანელმა ფეხბურთელებმა (მეშვიდე შესარჩევი ჯგუფი) დაამარცხეს ირლანდიელები — 1:0, ხოლო ბულგარეთისა და ნორვეგიის ნაკრები გუნდების მატჩი (მეოთხე ჯგუფი) დამთავრდა ფრედ — 2:2.

რედაქტორი
გ. გედინეიშვილი.

საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომი და რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბორჯომის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე

ვალერიან ანდრიას ძე გობრონიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

1982 წლის 4 ნოემბერს, 15 საათზე, მოწვეულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების საერთო კრება, რომელზეც განხილული იქნება აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის პრემიის მისანიჭებლად წარმოდგენილი ნაშრომები: 1. დ. მუსხელიშვილი — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“; 2. ო. სოხელიძე — „ნარკვევები დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან“; 3. ლ. ჭილაშვილი — „კახეთის ქალაქები“.

განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს.

კრება გაიმართება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 52, V სართული, ოთახი 514).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

ტელევიზია

29 ოქტომბერი

მოსკოვი

თბილისი